UDC 337
SCOPUS CODE 1404
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-62-67

საბაჟო პოლიტიკის განვითარების ეტაპები და თავისებურებები

ნინო რამაზაშვილი საწარმოო ოპერაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: Ninoo.Ramazashvili@gmail.com

რეცენზენტები:
კ. ხმალაძე, სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: khmaladzek@yahoo.com
გ. დიდიძე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის უფროსი. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
E-mail: dididze@gmail.com

ანოტაცია. საზოგადოების ინფორმატიზაციის სწრაფი ტემპებით ზრდამ ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკის სრულ გამჭვირვალობას. მსოფლიო გლობალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ამოცანები. მათ შესასრულებლად აუცილებელია არაერთი ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობასა და სტაბილურობას.

ნაშრომში განხილულია საქართველოში საბაჟო საქმის წარმოშობისა და განვითარების, მისი თავისებურებებისა და ერთიანი საბაჟო პოლიტიკის შემუშავების საკითხები. ყურადღება გამახვილებულია საბაჟო პოლიტიკაზე, როგორც ეკონომიკაზე მარეგულირებელი ზემოქმედების მძლავრ ინსტრუმენტზე, რაც გამოიხატება ბიზნესსექტორის განვითარებასა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაში, ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის დაცვაში, საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობასა და განვითარებაში.

საბაჟო საქმიანობაში დაგროვილი გამოცდილებისა და მოწინავე ქვეყნების საბაჟო პრაქტიკის გათვალისწინებით ნაშრომში შეფასებულია საბაჟო საქმიანობის უარყოფითი და დადებითი მხარეები. მოცემულია საუკეთესო უცხოური პრაქტიკის ქართულ რეალობაში დანერგვის წინადადებები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური სუვერენიტეტი; ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა; ერთი ფანჯრის პრინციპი; საბაჟო ორგანო; საბაჟო პოლიტიკა.

შესავალი

დღეს მიმდინარეობს დისკუსია, თუ რამდენად სწორად ხორციელდება საბაჟო ადმინისტრირება, მიზანშეწონლია თუ არა იმ სახის ცვლილებები, რომლებიც ასე ინტენსიურად მიმდინარეობს საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობაში და რა მოაქვს გადამხდელისათვის აღნიშნულ ცვლილებებსა და ინოვაციებს.

საბაჟო სისტემა, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დამცველად. მისი მიზანია:

- საბაჟო ოპერაციების დაბეგვრა დადგენილი საბაჟო ტარიფების მიხედვით;
- ფისკალური აგენტის როლის შესრულება;
- საქონლის მოძრაობის მოქცევა ტვირთის მფლობელისათვის მისაღებ რეჟიმში, სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;
- ბაზრის დაცვა დემპინგის და სხვა არაკეთილსინდისიერი ექსპანსიისაგან;
- პრაგმატული პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის თანამიმდევრული ლიბერალიზაცია ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში სრულად ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ძირითადი ნაწილი

1. საბაჟო საქმიანობის წარმოშობა და განვითარების ეტაპები საქართველოში

საბაჟო საქმიანობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. იგი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტია და მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკური მეცნიერების ისეთ დარგებთან, როგორიცაა ფინანსები, საბანკო საქმე, საგადასახადო საქმე, მიკრო- მაკროეკონომიკა, სტატისტიკა და სხვა.

საქართველო უძველესი დროიდან აწარმოებდა ვაჭრობას, როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ისე ევროპის სახელმწიფოებთან, მაგრამ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანა 70 წელი ჩამოაშორეს საბაჟო საქმეს.

XX საუკუნის 90-იან წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა სუვერენული სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახური. 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“. საბაჟო საქმემ და საბაჟო სამსახურმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს პოლიტ-ეკონომიკურ სისტემაში, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში. ამავე წლებში შეიქმნა და დამკვიდრდა საბაჟო კანონმდებლობა.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ეტაპებად ჩამოყალიბდა ძირითადად გამოიყოფა სამი ეტაპი:

„პირველი ეტაპი მოიცავს 1990–1991 წლებს, ამ დროს შეიქმნა საქართველოს საბაჟო სამსახური, მიღებულ იქნა კანონი საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებშიც განისაზღვრა საბაჟო საქმის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები, საბაჟოს ფუნქციები და ამოცანები.

მეორე ეტაპი დაკავშირებულია საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსის, საბაჟო ტარიფის შესახებ დეკრეტის, საქართველოს კანონის საბაჟო გადა-

სახადის შესახებ, დებულებების, ინსტრუქციების მიღებასთან. აღნიშნული ეტაპი მოიცავს 1992–1996 წლებს, რომლისთვისაც დამახასიათებელია საბაჟო კანონმდებლობის შექმნა და მისი სრულყოფა [1].

მესამე ეტაპი დაიწყო 1997 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საბაჟო კოდექსი, 1998 წელს მიღებულ იქნა ასევე საქართველოს კანონები საბაჟო ტარიფების, გადასახადის, მოსაკრებლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტები და დოკუმენტები [1].

2007 წელს შემოსავლების სამსახურის შექმნით, რომელშიც გაერთიანდა საბაჟო და საგადასახადო სამსახურები, დაიწყო საბაჟო სისტემის რეფორმირების და მოდერნიზაციის ყველაზე მასშტაბური ეტაპი.

2. საბაჟო პოლიტიკა საქართველოში, მისი მიზნები და ამოცანები

წარმოუდგენელია საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფერო პოლიტიკის გარეშე. სწორი პოლიტიკური კურსის შემუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ამდენად, რეალურია მხოლოდ ის პოლიტიკა, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების სხვადასხვა ფენის მიზნებსა და ინტერესებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგთან, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კავშირი ეკონომიკასთან.

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ერთიანი საბაჟო პოლიტიკა. უპირველეს ყოვლისა, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთიანია საქართველოს საბაჟო ტერიტორია, რომელზეც ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, მოქმედებს საერთო საბაჟო რეჟიმები, გადასახადები, ტარიფები, საბაჟო კანონმდებლობის აქტები.

„საქართველოში ხორციელდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და საერთაშორისო სამართლის წესებით გათვალისწინებული პრინციპების, ნორმებისა და სტანდარტების გამოყენებით საბაჟო საქმის ორგანიზების სრულყოფას. საბაჟო პოლიტიკის გატარება განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას“ [2].

ქვეყანაში ერთიანი საბაჟო პოლიტიკის განხორციელებაზე მიუთითებს ის, რომ საქართველოს ერთიან საბაჟო ტერიტორიაზე მოქმედებს და საბაჟო საქმიანობა რეგულირდება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული საბაჟო კოდექსით, საგადასახადო კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამთავრობო დაწესებულებების მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საბაჟო საქმის ორგანიზება არის საბაჟო ორგანოების მიერ გასატარებელ იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის გამოყენებასთან. ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ შესაძლებელია საბაჟო ორგანოს თანამშრომელზე დელეგირებულ იქნეს უფლებამოსილება [3].

საქართველოს საბაჟო პოლიტიკა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილია, რომლის უმთავრესი მიზნებია:

- საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა;
- საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება;
- შიგა ბაზრის დაცვა;
- ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება;
- საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება;

საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. დინამიკურად განვითარებადი, საკუთარ და იმპორტირებულ ალტერნატიულ რესურსებზე, ჯანსაღი კონკურენციის პირობებზე ორიენტირებული ეკონომიკა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობის მთავარი საფუძველია. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოს შესაძლებლობა მიეცა გამხდარიყო მსოფლიო თანამეგობრობის – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების წევრი. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს თავისუფალ ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებზე ორიენტირებულ ქვეყანას, თვითონ განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა. ყოველგვარი ჩარევის, დისკრიმინაციის და შეზღუდვების გარეშე დაამყაროს სხვა ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო და მომგებიანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

ამავე დროს ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის დაცვა, რაც გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული საქონლის, მათ შორის ვალუტის, ინტელექტუალური საკუთრებისა და სხვა ფასეულობების სრულ აღრიცხვასა და მასზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებას, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების დარიცხვას და სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებას, აგრეთვე ეკონომიკურ პროცესებში არაკეთილმოსურნე გარე ძალების ჩაურევლობის უზრუნველყოფა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვანი პირობაა.

„საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება ქვეყნის სტაბილური განვითარების, მისი ეკონომიკური წინსვლისა და აღმავლობის საფუძველია. მსოფლიო პრაქტიკამ ნათლად დაადასტურა, რომ კერძო საკუთრებაზე დამყარებული ღია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა მაქსიმალური მასტიმულირებელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა, რომლის ხელშემწყობია სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება“ [3].

ამ ამოცანების შესასრულებლად საბაჟო სამსახური შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფისათვის; უზრუნველყოფს მის შესრულებას; მონაწილეობს მსოფლიოს თანამეგობრობასთან ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების მექანიზმის სრულყოფის, ექსპორტის სტიმულირების და უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვის უზრუნველყოფისათვის; კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს წინადადებებს საბაჟო გადასახდელებისა და მოსაკრებლების ან სხვა გადასახადების დადგენა-გამოყენების შესახებ და ორგანიზაციას უწევს ამ გადასახდელების დარიცხვა-ამოღებას და შესაბამის ბიუჯეტში მათ დროულ სრულ აკუმულირებას; შეიმუშავებს საბაჟო ღირებუ-

ლების განსაზღვრის მეთოდიკას; ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას, შეჩერებას და გაუქმებას; აწარმოებს საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებას, საბაჟო პროცედურების გამარტივებას ტვირთბრუნვის გაზრდისა და მეწარმეობის სტიმულირების მიზნით. თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სავალუტო კონტროლის ფუნქციებს და ცალკეული საბაჟო რეჟიმების შესაბამისად საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმებასა და კონტროლს უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას წესების დაცვით. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

როგორც აღვნიშნეთ, საბაჟო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. საქართველო საბაჟო პოლიტიკის სფეროში ესწრაფვის აქტიურ საერთაშორისო თანამშრომლობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღესდღეობით მსოფლიო გადავიდა ისეთ ფაქტორებზე რაც მოითხოვს ნაკლები დროის ხარჯვას საქმის წარმოებაში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპის მეშვეობით გამარტივებულია საბაჟო პროცედურები [4]. დაინერგა ელექტრონული დეკლარირების სიტემა, შეიქმნა ერთიანი მომსახურების გარემო, ამოქმედდა მარტივი, ნათელი და ცხადი წესები, ინფორმაციის მიმოცვლის და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სადაც ურთიერთობა საბაჟოს წარმომადგენელსა და ეკონომიკურ ოპერატორს შორის ხდება ელექტრონული ფორმით, ინტერნეტის მეშვეობით.

დასკვნა

მდგრადი პროგრესისა და შედეგის მისაღწევად აუცილებელია ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან ურთიერთობა ყველა არსებული საშუალებით და მათი პრობლემების მოსმენა. ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი სახელფასო და წახალისების სისტემების შემუშავება, კარიერული განვითარების პროგრამების, ახალი ინფრაქსტუქტურისა და კომფორტული გარემოს შექმნა საბაჟო ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმატებით განხორციელდა საქართველოს საბაჟო სისტემაში. განხორციელებული რეფორმების შედეგად საბაჟო სისტემა ჩამოყალიბდა სტაბილურად ფუნქციონირებად სახელმწიფო ინსტიტუტად, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ეკონომნიკური უსაფრთხოების დაცვა, თითქმის ყოველწლიურად იზრდება ქვეყნის ტრანზიტული და საგარეო-სავაჭრო ტვირთბრუნვა.

ლიტერატურა

1. Imedashvili, G. (2009). *Customs case.* (In Georgian);
2. *Tax Code of Georgia, 211.* (2016). (In Georgian);
3. Amilakhvari, Z. (2007). *International Customs Law.* (In Georgian);

4. Revenue Service. (2020). *Customs Procedures: Risk Corridors.* Retrieved from: https://www.rs.ge/LegalEntityCustomsProcedures-en?cat=12&tab=1 .

UDC 337
SCOPUS CODE 1404
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-62-67

Steps and Characteristics for Development of Customs Policy

Nino Ramazashvili Department of Industrial Innovations and Operations Management, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: Ninoo.Ramazashvili@gmail.com

Reviewers:

K. Khmaladze, Professor, Faculty of Energy, GTU
E-mail: khmaladzek@yahoo.com

G. Dididze, Academic Doctor of Economics, Head of the Department of Regional and Mountain Development, Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
E-mail: dididze@gmail.com

Abstract. Customs policy is the major instrument to impact economy that could have significant influence on business development and budget revenues. Considering this characteristic of customs, the article provides narrative regarding the role the customs policy could play to defend economic borders and to promote and develop the foreign trade.

Some of the important issues, such as the origin and development of customs affairs in Georgia, elaboration of united customs policies and its characteristics are discussed in the article. Answers on aspirations of the relevant authorities to advance customs policy are also provided.

Considering the existing customs experiences and practices, the conclusions have been elaborated to evaluate the positive and negative sides of the modern customs affairs. The grounds for experience sharing of advanced foreign countries and elaborates practical steps for their implementation in Georgian reality are also provided.

Keywords: customs authority; customs policy; economic sovereignty; protection of economic security; single window principle.

განხილვის თარიღი 31.03.2022
შემოსვლის თარიღი 06.04.2022
ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.09.2022